(როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში შევა 2023 წლის 1 იანვრიდან.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის, შესაბამისად, არ გააჩნიათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

2021 წელს საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15% შეადგენდა.

ვ) სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან და სხვა დანახარჯებს, რომელიც მოიცავს მისი მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, დაკავშირებული აქტივის გაყიდვასთან.

ზ) ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს მათი თვითღირებულებით (ისტორიული ღირებულება), გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი.

კომპანია არამატერიალურ აქტივებს აღრიცხავს მათი თვითღირებულებით (ისტორიული ღირებულება), გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

კომპანია აღრიცხავს ცვეთას წრფივი მეთოდით, მათი სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის მიხედვით:

სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობა	
ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	- 5 წელი
კომპიუტერული ტექნიკა	- 5 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	- 5-10 წელი
სხვა ძირითადი საშუალებები	- 5 წელი
განუსაზღვრელ ვადიანი არამატერიალური აქტივები	- 10 წელი

ძირითადი საშუალებების შეძენის თვე ცვეთის დარიცხვის მიზნებისთვის აიღება როგორც სრული თვე, ხოლო ძირითადი საშუალებების გასვლის თვე ცვეთის დარიცხვის დროს არ გაითვალისწინება.

ძირითადი საშუალება იცვითება იმ თვიდან, როდესაც ხდება მისი ექსპლუატაციაში გაშვება ან ის მზადაა ექსპლუატაციაში გაშვებისთვის.

შეკეთებასთან ან განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისთანავე და მათი ჩართვა ხდება სხვა საოპერაციო ხარჯებში, თუ არ არსებობს მათი კაპიტალიზაციის საფუძველი.

თ) ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივი

ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს-მოდელი მდგომარეობს იმაში, თუ როგორ მართავს კომპანია ფინანსურ აქტივებს, ფულადი ნაკადების დასაგენერირებლად. ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს-მოდელი განსაზღვრავს, როგორ ხდება ფულადი ნაკადების შემოღინება, იქნება ეს სახელშეკრულებო პირობების მიხედვით, ფინანსური აქტივის გაყიდვით, თუ ორივე ერთად.

სავაჭრო მოთხოვნები, რომლებიც არ მოიცავს მნიშვნელოვან დაფინანსების კომპონენტს (რაც დადგენილია ფასს 15-ის მოთხოვნების შესაბამისად).

ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება და შეფასდება ამორტიზირებული ღირებულებით, მაშინ, როცა:

- 1) თუ ეს აქტივი წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც დაკავშირებული იქნება „მხოლოდ ძირის და პროცენტის გადახდებთან“ (SPPI) ნარჩენ ძირ თანხაზე. აღნიშნული შეფასება მოიხსენიება როგორც SPPI ტესტი და ხორციელდება კონკრეტული ფინანსური ინსტრუმენტის დონეზე. საპროცენტო ამონაგები გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.
- 2) როცა კომპანია ფლობს ფინანსურ აქტივებს მათგან გამომდინარე ფულადი ნაკადების მიღების მიზნით.

სხვა შემთხვევებში, ფინანსური აქტივი აღირიცხება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება

დებიტორული სავაჭრო დავალიანების გაუფასურება ხდება, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები, რომ კომპანია ვერ შეძლებს შესაბამისი მისაღები მოთხოვნების მიხედვით კუთვნილი თანხის სრულად ან ნაწილობრივ მიღებას.

ისეთი ოპერაციების შედეგად წარმოქმნილ სავაჭრო მოთხოვნებთან ან ან სახელშეკრულებო აქტივებთან დაკავშირებით, რომლებიც ფასს 15-ის მოქმედების სფეროს განეკუთვნება და ამასთან, ფასს 15-ის შესაბამისად არ შეიცავს მნიშვნელოვან დაფინანსების კომპონენტს (ან როდესაც კომპანია იყენებს პრაქტიკული ხასიათის გამარტივებულ მიდგომას ხელშეკრულებებისთვის, რომელთა ხანგრძლივობა ერთი წელი, ან ერთ წელზე ნაკლებია), გაუფასურების ზარალის რეზერვი ყოველთვის ფასდება თანხით, რომელიც არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლია. 1 წლით ან მეტი ვადით გადაუხდელ სავაჭრო მოთხოვნებზე გაუფასურებული ზარალი აღიარდება 100%-ის ოდენობით, ხოლო სხვა სავაჭრო მოთხოვნებზე -5%-დან 50%-მდე, თანხის გადაუხდელობის ხანგრძლივობიდან გამომდინარე.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვში ცვლილებების ოდენობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშებზე.

გაუფასურებული მოთხოვნის ჩამოწერა აისახება არსებული გაუფასურების ზარალის რეზერვის ანგარიშზე.

სესხები და მისაღები ანგარიშები

სესხები და მისაღები ანგარიშები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, ფიქსირებული ან განსაზღვრული გადახდებით, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. აღნიშნული ინსტრუმენტები არ არის განკუთვნილი სასწრაფო ან მოკლევადიანი გადაყიდვისათვის და არ არის კლასიფიცირებული, როგორც სავაჭრო ფასიანი ქაღალდები ან გასაყიდად გამიზნული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები. აღნიშნული აქტივები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით მოქმედი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოგება და ზარალის აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდება სესხებისა და მისაღები ანგარიშების აღიარების შეწყვეტის ან გაუფასურების შემთხვევაში, ასევე ამორტიზაციის პროცესში.

ი) ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ექვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

კ) მოთხოვნები საქმიანობიდან და სხვა მიმდინარე მოთხოვნები

მოთხოვნები წარმოადგენენ ყველა მიმდინარე მოთხოვნებს მიწოდებიდან, წინასწარ გადახდილი გადასახადების და წინასწარ გაწეული ხარჯების გარდა.

სავაჭრო და სხვა დებიტორული მოთხოვნების აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომში შეფასებული ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების დანაკარგი. დებიტორული დავალიანების გაუფასურების დანაკარგი ჩამოყალიბებულია, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები, რომ კომპანია ვერ შეძლებს ყველა თანხის შეგროვებას მისაღები მოთხოვნების მიხედვით.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში რეზერვში ცვლილებების ოდენობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშებზე. ნებისმიერი მოთხოვნის ჩამოწერის ასახვა ხდება არსებული საექვო მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. ყველა სავაჭრო მოთხოვნა, პირდაპირ ჩამოიწერება და აღიარდება პერიოდის მოგება-ზარალში.

ლ) საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი კლასიფიცირდება როგორც საკუთარი კაპიტალი.

მ) აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივი შეფასდება ყოველ ანგარიშგების დღეს იმ მიზნით, რომ განისაზღვროს არსებობს თუ არა მისი გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. ფინანსური აქტივი ჩაითვლება გაუფასურებულად იმ შემთხვევაში, თუ ობიექტური მტკიცებულებით ნაჩვენებია აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდგომ ზარალის შემთხვევა, რაც შესაძლებელია უარყოფითად აისახოს აღნიშნული აქტივის სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებაში, რაც ფასდება საიმედოდ.

ნ) ხარჯების აღიარება

კომპანია გასწევს ხარჯებს საქმის წარმოებაზე თავის საოპერაციო საქმიანობის პროცესში, ასევე აქვს სხვა ხარჯები, რაც არ უკავშირდება მის ძირითად საქმიანობას.

შპს „Skinest Rail Georgia“

განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა შემცირება მომავალი ეკონომიკური სარგებლისა, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, გაწეული ხარჯებისა და შემოსავლებს შორის უშუალო შეპირისპირების საფუძველზე, შემოსავლების კონკრეტული მუხლების მიხედვით. თუკი ეკონომიკური სარგებლის წარმოშობა მოსალოდნელია რამდენიმე საანგარიშო პერიოდის მანძილზე და კავშირი შემოსავალთან შეიძლება მოიძებნოს მთლიანად ან ნაწილობრივ, მაშინ მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხარჯის აღიარება მოხდება რაციონალური გადანაწილების მეთოდით. ხარჯის აღიარება ხდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში დაუყოვნებლივ, თუ ხარჯი აღარ ქმნის მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან როცა მომავალი ეკონომიკური სარგებელი არ შეესაბამება ან აღარ შეესაბამება ბალანსში აქტივად აღიარების მოთხოვნებს.

ო) იჯარა

2015 წლის იანვარში, ბასს-მა გამოუშვა ფასს (IFRS) 16 „იჯარა“, რომელიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. კომპანიამ აღნიშნული სტანდარტის გამოყენება დაიწყო 2019 წლის 1 იანვრიდან მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომით. ფასს 16-ის მოთხოვნის შესაბამისად მოიჯარე აღიარებს აქტივის „გამოყენების უფლებას“ და შესაბამის ფინანსურ ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. აქტივის ამორტიზება მოხდება იჯარის ვადის განმავლობაში და ფინანსური ვალდებულება შეფასდება ამორტიზებული ღირებულებით. მოიჯარე ყველა აღიარებული იჯარისთვის იყენებს ერთიან მოდელს, თუმცა უფლება აქვთ არ აღიარონ „მოკლევადიანი“ იჯარები და იჯარები „დაბალი ღირებულების მქონე“ აქტივებით. მეიჯარის აღრიცხვა არსებითად იგივე რჩება, რასაც ბასს 17 ითვალისწინებს.

5. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	31.12.2021		31.12.2020	
	GEL	EUR	GEL	EUR
მიმდინარე საბანკო ანგარიშები	1 482 198	423 002	619 094	153 877
	1 482 198	423 002	619 094	153 877

კომპანიას ანგარიშები გახსნილი აქვს საქართველოს ერთ კომერციულ ბანკში - სს „თიბისი ბანკი“.

6. მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან

	31.12.2021		31.12.2020	
	GEL	EUR	GEL	EUR
ადგილობრივი დამკვეთები	767 864	219 139	42 349	10 526
არარეზიდენტი დამკვეთები	-	-	248 509	61 768
საექვო მოთხოვნების კორექტირება	(157 259)	(44 880)	(145 940)	(36 274)
წყვეტილი პრეტენზიები	153 089	43 690	154 474	38 395
	763 694	217 949	299 393	74 415

კომპანიის მთავარ დამკვეთს წარმოადგენდა სს „საქართველოს რკინიგზა“, რომლის დაკვეთით კომპანია ახორციელებდა რკინიგზის ნაწილების იმპორტს და მათ შემდგომ რეალიზაციას. 2019 წლიდან კომპანიამ დაიწყო ვაგონ-ცისტერნების შესყიდვა და მათი შემდგომი რეალიზაცია როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

2020 წელს კომპანიამ დადო ხელშეკრულება საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემასთან ავტოტრანსფორმატორების მიწოდებაზე. 2021 წელს კომპანიამ საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას მიაწოდა 3 ცალი ავტოტრანსფორმატორი.

ასევე 2021 წელს კომპანიამ დაიწყო ახალი ბიზნეს მიმართულების ათვისება, კერძოდ ლატვიური კომპანიის A.H. Brieger-ის DZINTARS-ის სახელწოდების ჰიგიენური და კოსმეტიკური საშუალებებით საბითუმო ვაჭრობა.

შპს „Skinest Rail Georgia“

განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

7. მარაგები

	31.12.2021		31.12.2020	
	GEL	EUR	GEL	EUR
გასაყიდად გამიზნული საქონელი	552 116	157 567	3 513 145	873 200
სხვა მარაგები	976	279	793	197
	553 093	157 846	3 513 938	873 397

	31.12.2021		31.12.2020	
	GEL	EUR	GEL	EUR
მარაგების ანარიცხის მოძრაობა				
ანარიცხის საწყისი ნაშთი	(11 561)	(3 299)	18 731	4 656
ანარიცხის მოძრაობა	-	-	-	-
ანარიცხის საბოლოო ნაშთი	(11 561)	(3 299)	(11 561)	(2 874)

8. გაცემული სესხები

	31.12.2021		31.12.2020	
	GEL	EUR	GEL	EUR
გაცემული გრძელვადიანი სესხები	6 466 069	1 845 339	7 196 048	1 788 593
გაცემული მოკლევადიანი სესხები	1 140 794	325 569	50 000	12 428
მისაღები პროცენტები	224 499	64 069	33	8
	7 831 362	2 234 978	7 246 081	1 801 029

კომპანიამ საანგარიშგებო პერიოდში გასცა გრძელვადიანი სესხები შპს ჰიდროდეველოპმენტ კომპანიზე 1,000,000 აშშ დოლარი და 1,000,000 ევროს ოდენობით. სესხის ვადა 5 წელი, სესხის წლიური საპროცენტო განაკვეთი 12%. კომპანიას ასევე გაცემული აქვს მოკლევადიანი სესხი 100,000 ლარის და 336,000 აშშ დოლარის ოდენობით შპს სკინესტ საქართველოზე. სესხის წლიური საპროცენტო განაკვეთი 12%.

9. ავანსები

	31.12.2021		31.12.2020	
	GEL	EUR	GEL	EUR
გაცემული ავანსები რეზიდენტ კომპანიებზე	3 542	1 011	6 040	1 501
გაცემული ავანსები არარეზიდენტ კომპანიებზე	7 720	2 203	4 482 882	1 114 230
	11 262	3 214	4 488 921	1 115 731

10. გადასახადები

	31.12.2021		31.12.2020	
	GEL	EUR	GEL	EUR
საანგარიშგებო თარიღის შემდგომ დადგენილებული ან დასადგენი გადასახადები	1 540	439	23 399	5 816
ავანსის დღე	53 674	15 318	(546 853)	(135 922)
საგადასახადო ანარიცხი	32 533	9 285	32 533	8 086
საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ჩასათვლელი აქტივები	(11 221)	(3 202)	(3 499)	(870)
ერთიანი საგადასახადო ბარათი	93 011	26 544	(598 520)	(148 763)
	169 538	48 384	(1 092 940)	(271 653)

11. სხვა გრძელვადიანი აქტივები

სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემასთან 13.05.2020 წელში გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად შემსყიდველი უფლებამოსილია მიწოდებულ საქონელზე საგარანტიო ვადის დასრულებამდე შეაჩეროს საბოლოო ანგარიშსწორება - სახელშეკრულებო ღირებულების 0,5%-ის ოდენობით ყოველ საგარანტიო წელზე, მიმწოდებლის მიერ საგარანტიო ვალდებულების სრულად და ჯეროვნად შესრულების დღემდე, მაგრამ არაუმეტეს 8 (რვა) წლისა.

სხვა გრძელვადიანი აქტივი წარმოადგენს სავაჭრო მოთხოვნებს, რომელიც ზემოთაღნიშნული პირობის მიხედვით დასაფარია მომდევნო 12 თვიანი პერიოდის შემდეგ.

12. ვალდებულებები, წარმოქმნილი მიწოდებიდან და მომსახურებიდან

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მიმდინარე ვალდებულებების სტრუქტურა შემდეგია:

	31.12.2021		31.12.2020	
	GEL	EUR	GEL	EUR
ადგილობრივი მომწოდებლები	24 978	7 128	26 029	6 469
არარეზიდენტი მომწოდებლები	52 282	14 921	820 849	204 024
საიჯარო ვალდებულებები	-	-	22 347	5 554
	77 260	22 049	869 225	216 048

13. მიღებული მოკლევადიანი სესხები და გადასახდელი პროცენტები

	31.12.2021		31.12.2020	
	GEL	EUR	GEL	EUR
მიღებული სესხები	-	-	3 274 079	813 780
გადასახდელი პროცენტები	127 202	36 302	92 483	22 987
	127 202	36 302	3 366 563	836 766

კომპანიას გააჩნდა მიღებული სესხი აშშ დოლარში თავისი დამფუძნებელი საწარმოდან - შპს “Skinest Rail ესტონეთი” სესხის საპროცენტო განაკვეთი შეადგენს წლიურ 10%-ს.

14. სახელშეკრულებო ვალდებულებები

	31.12.2021		31.12.2020	
	GEL	EUR	GEL	EUR
მიღებული ავანსები რეზიდენტები	351 886	100 424	3 584 928	891 042
	351 886	100 424	3 584 928	891 042

15. საწესდებო კაპიტალი

2021 წლის 31 დეკემბერს კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 2,510 ლარს (1,000 ევრო), რომელიც ფულადი ფორმით შევსებულია დამფუძნებლის მიერ. კომპანიას არ მოუხდენია საწესდებო კაპიტალის გაზრდა ან შემცირება დაარსების მომენტიდან.

16. ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

	2021		2020	
	GEL	EUR	GEL	EUR
სარკინიგზო ნაწილების მიწოდება	1 326 381	347 766	4 238 713	1 193 365
ვაგონ-ცისტერნების მიწოდება	-	-	6 996 682	1 969 842
ავტოტრანსფორმატორის მიწოდება	11 267 915	2 954 356	-	-
DZINTARS-ის პროდუქციის მიწოდება	84 354	22 117	-	-
	12 678 650	3 324 240	11 235 395	3 163 207

17. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

	2021		2020	
	GEL	EUR	GEL	EUR
სარკინიგზო ნაწილები	(1 218 176)	(319 396)	(3 567 077)	(1 004 273)
ვაგონ-ცისტერნები	-	-	(3 819 055)	(1 075 215)
ავტოტრანსფორმატორი	(9 690 567)	(2 540 788)	-	-
DZINTARS-ის პროდუქცია	(45 661)	(11 972)	-	-
	(10 954 405)	(2 872 156)	(7 386 132)	(2 079 488)

18. გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები

	2021		2020	
	GEL	EUR	GEL	EUR
ტვირთის ტრანსპორტირების ხარჯები	(1 436)	(377)	(14 195)	(3 996)
სატენდერო მოსაკრებლები	-	-	(9 774)	(2 752)
შრომის ანაზღაურება	(47 833)	(12 541)	(58 133)	(16 367)
ვაგონების შენახვა-რემონტის ხარჯი	-	-	(68 368)	(19 248)
სხვა მიწოდების ხარჯები	(75 645)	(19 834)	(3 611)	(1 017)
	(124 914)	(32 751)	(154 081)	(43 380)

19. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2021		2020	
	GEL	EUR	GEL	EUR
ხელფასის ხარჯები	(438 315)	(114 923)	(345 542)	(97 284)
საიჯარო ქირა	(48 407)	(12 692)	(1 197)	(337)
კომუნალური გადასახადები	(5 277)	(1 384)	(2 828)	(796)
კომუნიკაციის და საინფორმაციო				
ტექნოლოგიების ხარჯები	(5 299)	(1 389)	(4 783)	(1 346)
დაზღვევის ხარჯები	(10 379)	(2 721)	(8 593)	(2 419)
საწვავის ხარჯები და ავტომანქანის ხარჯები	(5 001)	(1 311)	(4 654)	(1 310)
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	(18 376)	(4 818)	(19 437)	(5 472)
იურიდიული მომსახურების ხარჯები	(4 900)	(1 285)	(37 361)	(10 518)
ძს ცვეთა/ამორტიზაცია	(16 098)	(4 221)	(9 916)	(2 792)
აქტივების გამოყენების უფლების ცვეთა	-	-	(38 585)	(10 863)
გადასახადები	(2 223)	(583)	(683)	(192)
საბანკო ხარჯები	(16 626)	(4 359)	(81 627)	(22 981)
მივლინების ხარჯები	(3 394)	(890)	(1 135)	(320)
ავტომანქანის ხარჯები გარდა საწვავისა	(3 101)	(813)	(2 344)	(660)
წარმომადგენლობითი ხარჯები	(5 823)	(1 527)	(5 480)	(1 543)
დებიტორების გაუფასურების რეზერვის ხარჯი	(11 320)	(2 968)	15 910	4 479
აკრედიტორის და საგარანტო ხარჯები	(44 858)	(11 761)	(62 904)	(17 710)
საქველმოქმედო ხარჯები	(3 350)	(878)	-	-
სხვა ხარჯები	(1 476)	(387)	(2 155)	(607)
	(644 223)	(168 910)	(613 314)	(172 672)

20. ფინანსური შემოსავლები

	2021		2020	
	GEL	EUR	GEL	EUR
საპროცენტო შემოსავლები	866 495	227 188	540 348	152 129
	866 495	227 188	540 348	152 129

	2021		2020	
	GEL	EUR	GEL	EUR
საპროცენტო ხარჯები	(136 290)	(35 734)	(128 753)	(36 249)
ფინანსური იჯარა	(29)	(8)	(3 769)	(1 061)
ჯარიმები კონტრაგენტებთან	(565)	(148)	(73 319)	(20 642)
	(136 884)	(35 890)	(205 841)	(57 952)

2021						
	GEL	EUR	GEL	EUR	GEL	EUR
	დადებითი ზედგეი		უარყოფითი ზედგეი		სულ	
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	65 993	17 303	(253 877)	(66 564)	(187 884)	(49 262)
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	79 166	20 757	(55 877)	(14 650)	23 290	6 106
გაცემული სესხები	1 925	505	(8 557)	(2 243)	(6 632)	(1 739)
მისაღები პროცენტები	6 030	1 581	(11 833)	(3 103)	(5 803)	(1 522)
სხვა მიმდინარე აქტივები	32	8	(57)	(15)	(25)	(7)
გაცემული გრძელვადიანი სესხები	511 571	134 130	(1 199 936)	(314 614)	(688 366)	(180 484)
სხვა გრძელვადიანი აქტივები	12 435	3 260	(102 189)	(26 793)	(89 754)	(23 533)
სულ საკურსო მოგება(ზარალი) აქტივებიდან:	677 152	177 544	(1 632 326)	(427 983)	(955 174)	(250 439)
ვალდებულებები, წარმოქმნილი მიწოდებიდან და მომსახურებიდან	62 356	16 349	(61 711)	(16 180)	645	169
გადასახდელი პროცენტები	31 834	8 347	(12 551)	(3 291)	19 283	5 056
გადასახდელი სესხები	53 074	13 916	(72 883)	(19 109)	(19 809)	(5 194)
სულ საკურსო მოგება(ზარალი) ვალდებულებებიდან:	147 264	38 612	(147 146)	(38 580)	119	31
სულ	824 416	216 155	(1 779 471)	(466 563)	(955 055)	(250 408)

2020						
	GEL	EUR	GEL	EUR	GEL	EUR
	დადებითი ზედგეი		უარყოფითი ზედგეი		სულ	
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1 055 549	297 179	(84 854)	(23 890)	970 695	273 289
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	38 685	10 891	(8 460)	(2 382)	30 225	8 510
გაცემული სესხები	387 000	108 956	(71 190)	(20 043)	315 810	88 913
მისაღები პროცენტები	2 146	604	-	-	2 146	604
სხვა მიმდინარე აქტივები	1	0	-	-	1	0
სულ საკურსო მოგება(ზარალი) აქტივებიდან:	1 483 380	417 630	(164 503)	(46 314)	1 318 877	371 316
ვალდებულებები, წარმოქმნილი მიწოდებიდან და მომსახურებიდან	3 414	961	(74 701)	(21 031)	(71 287)	(20 070)
გადასახდელი პროცენტები	15	4	(8 421)	(2 371)	(8 406)	(2 367)
გადასახდელი სესხები	3 038	855	(130 130)	(36 637)	(127 092)	(35 782)
სულ საკურსო მოგება(ზარალი) ვალდებულებებიდან:	6 467	1 821	(213 252)	(60 039)	(206 786)	(58 218)
სულ	1 489 847	419 451	(377 756)	(106 353)	1 112 091	313 098

23. სხვა არასაოპერაციო მოგება/(ზარალი)

	2021		2020	
	GEL	EUR	GEL	EUR
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	241 517	63 324	35 225	9 917
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	(2)	(1)	(105)	(30)
	241 515	63 323	35 119	9 887

24. ვალდებულებების მოძრაობის შეჯერება საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილ ფულად ნაკადებთან - სესხები

სასესხო და სხვა ფინანსური ვალდებულება	ვალდებულება 31.12.2020 მდე		გადახდა ფულადი სახსრებით		დადებითი საკურსო		ვალდებულების აღება ფულადი		უარყოფითი საკურსო სხვაობა		ვალდებულება 31.12.2021 მდე	
	GEL	EUR	GEL	EUR	GEL	EUR	GEL	EUR	GEL	EUR	GEL	EUR
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულება არასაფინანსო დაწესებულების (იურიდიული პირის) წინაშე	3 274 079	813 780	(4 903 709)	(1 285 713)	53 074	13 916	1 609 821	422 082	(72 883)	(19 109)	(0)	(0)
სულ:	3 274 079	813 780	(4 903 709)	(1 285 713)	53 074	13 916	1 609 821	422 082	(72 883)	(19 109)	(0)	(0)

სასესხო და სხვა ფინანსური ვალდებულება	ვალდებულება 31.12.2019 მდე		გადახდა ფულადი სახსრებით		დადებითი საკურსო		ვალდებულების აღება ფულადი		უარყოფითი საკურსო სხვაობა		ვალდებულება 31.12.2020 მდე	
	GEL	EUR	GEL	EUR	GEL	EUR	GEL	EUR	GEL	EUR	GEL	EUR
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულება არასაფინანსო დაწესებულების (იურიდიული პირის) წინაშე	4 236 779	1 320 074	(4 813 388)	(1 355 159)	3 038	855	3 723 596	1 048 339	(130 130)	(36 637)	3 274 079	813 780
სულ:	4 236 779	1 320 074	(4 813 388)	(1 355 159)	3 038	855	3 723 596	1 048 339	(130 130)	(36 637)	3 274 079	813 780

25. ვალდებულებების მოძრაობის შეჯერება საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილ ფულად ნაკადებთან - პროცენტები

საპროცენტო ვალდებულება	ვალდებულება 31.12.2020 მდე		გადახდა		დაფარვა რეკლამირებით ან გადაკისრებით		დადებითი საკურსო სხვაობა		პროცენტის დარიცხვა		ვალდებულების აღება რეკლამირებით ან გადაკისრებით		უარყოფითი საკურსო სხვაობა		ვალდებულება 31.12.2021 მდე	
	GEL	EUR	GEL	EUR	GEL	EUR	GEL	EUR	GEL	EUR	GEL	EUR	GEL	EUR	GEL	EUR
გადასახდელი პროცენტები იურიდიული პირისთვის	92 483	22 987	(53 157)	(13 937)	73 463	19 261	31 834	8 347	135 818	35 610	44 803	11 747	(12 551)	(3 291)	127 202	36 302
სულ:	92 483	22 987	(53 157)	(13 937)	73 463	19 261	31 834	8 347	135 818	35 610	44 803	11 747	(12 551)	(3 291)	127 202	36 302

საპროცენტო ვალდებულება	ვალდებულება 31.12.2019 მდე		გადახდა		დაფარვა რეკლამირებით ან გადაკისრებით		დადებითი საკურსო სხვაობა		პროცენტის დარიცხვა		ვალდებულების აღება რეკლამირებით ან გადაკისრებით		უარყოფითი საკურსო სხვაობა		ვალდებულება 31.12.2020 მდე	
	GEL	EUR	GEL	EUR	GEL	EUR	GEL	EUR	GEL	EUR	GEL	EUR	GEL	EUR	GEL	EUR
გადასახდელი პროცენტები იურიდიული პირისთვის	83 826	26 118	(150 015)	(42 235)	-	-	15	4	150 266	42 306	-	-	(8 421)	(2 371)	92 483	22 987
სულ:	83 826	26 118	(150 015)	(42 235)	-	-	15	4	150 266	42 306	-	-	(8 421)	(2 371)	92 483	22 987

26. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების წინასწარი გაანგარიშება მიზნად ისახავს სავარაუდო ფასის მიახლოებით განსაზღვრას, რომელიც მიღებული იქნება აქტივის გასაყიდად ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადაცემისთვის თანმიმდევრული ტრანზაქციის გზით ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების დღეს. ამასთან, გაურკვევლობის გათვალისწინებით და

სუბიექტური განსჯის მეშვეობით, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იქნეს ინტერპრეტირებული, როგორც რეალიზებადი აქტივების დაუყოვნებელი ნასყიდობის გზით ან ვალდებულებათა გადაცემის მეშვეობით.

კომპანიამ განსაზღვრა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები შეფასებითი ტექნიკის გამოყენებით. შეფასების ტექნიკების მიზანია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს ფასს, რომელიც უნდა იქნეს მიღებული აქტივის გასაყიდად ან გადახდილი ვალდებულების გადაცემისთვის თანმიმდევრული ტრანზაქციის ფარგლებში ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების დღეს. გამოყენებული შეფასებითი ტექნიკა არის დისკონტირებული ფულადი საშუალებების მოძრაობის მოდელი. ყველა ფინანსური აქტივის და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება დაანგარიშდება მომავალში ძირითადი თანხისა და დარიცხული პროცენტების ფულადი საშუალებების მოძრაობის საფუძველზე, რომელთა დისკონტირება ხდება ანგარიშგების დღეს პროცენტის საბაზრო განაკვეთით.

ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება მიახლოებით მათი საბალანსო ღირებულების ტოლია.

27. რისკების მართვა

მმართველობითი სისტემა

კომპანიის რისკისა და ფინანსური მართვის სისტემის მთავარი მიზანია დაცვა ისეთი მოვლენებისგან, რომლებიც აბრკოლებს კომპანიის მიზნების მიღწევას და შესაძლებლობების გამოყენებას. კომპანია აანალიზებს რისკების ეფექტური და ეფექტიანი მართვის სისტემის უდიდეს მნიშვნელობას. დანერგილია პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს კომპანიის რისკზე ორიენტირებულობას, რისკის მართვას, კონტროლსა და საქმიანობის სტანდარტებს.

ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობიდან გამომდინარე, კომპანია დგას შემდეგი რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი ;
- ლიკვიდურობის რისკი ;
- საბაზრო რისკი.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა იწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს. კომპანია მართავს საკრედიტო რისკის დონეს, რომელზეც იგი პასუხისმგებელია საკრედიტო რისკის

შპს „Skinest Rail Georgia“

განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

საერთო პოლიტიკით, რომელშიც შეფასებული და განსაზღვრულია, რა წარმოადგენს კომპანიისთვის საკრედიტო რისკს, რისკის ლიმიტი თითოეული კონტრაგენტის, გეოგრაფიული მდებარეობისა და საქმიანობის სფეროსთვის, გაქვითვის უფლება, როდესაც კონტრაგენტები ერთდროულად მოვალეები არიან და კრედიტორებიც.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ საწარმოს შეექმნება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა, მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს კომპანიის ფუნქციონირებაზე. ლიკვიდურობის რისკის წინდახედული მექანიზმი გულისხმობს საკმარისი თანხისა და საკრედიტო რესურსების ქონას, რათა დაკმაყოფილებულ იქნას ბაზრის მოთხოვნები.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით.

საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას საწარმოს მიერ პროცენტიანი, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი):

საპროცენტო რისკი

საპროცენტო რისკი არის რისკი (ცვალეზადი ღირებულებით), რომელსაც ატარებს პროცენტიანი აქტივი, როგორიცაა სესხი, მცოცავი საპროცენტო განაკვეთის არსებობის გამო. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიქმნება, როდესაც მოცემული ვადიანობის ფაქტობრივი ან მოსალოდნელი აქტივები მეტია ან ნაკლებია იმავე ვადიანობის ფაქტობრივ ან მოსალოდნელ ვალდებულებებზე.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსური რისკების განსაზღვრაზე. კომპანია ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

მგრძნობელობის ანალიზი

ლარის შესაძლო გამყარება/შესუსტება, როგორც ეს ქვემოთაა ნაჩვენები, ევროსა და აშშ დოლარის მიმართ 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გავლენას მოახდენს უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებაზე და კაპიტალზე და მოგება/ზარალზე გადასახადების შემდეგ ქვემოთ მოცემული თანხების ოდენობით. სავალუტო დინამიკა პირდაპირ გავლენას არ მოახდენს სხვა მთლიან შემოსავალსა თუ კაპიტალზე.

ანალიზის თანახმად ივარაუდება, რომ ყველა სხვა ცვლადები, განსაკუთრებით საპროცენტო განაკვეთები, რჩება უცვლელი და არ ითვალისწინებს პროგნოზული გაყიდვების და შესყიდვების ზემოქმედებას.

	31.12.2021			
	EUR	USD	RUB	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	215 605	840 604	352	1 056 562
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	60 583	22 074	-	82 657
გაცემული მოკლევადიანი სესხები და მისაღები პროცენტები	105 984	1 148 690	-	1 254 674
გაცემული გრძელვადიანი სესხები	3 431 828	3 034 241	-	6 466 069
მისაღები პროცენტები	-	-	-	-
სხვა მიმდინარე აქტივები	-	436	-	436
სხვა გრძელვადიანი აქტივები	424 081	-	-	424 081
აქტივები სულ:	4 238 081	5 046 045	352	9 284 478
ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	(41 823)	(32 142)	-	(73 965)
მოკლევადიანი სესხები	-	-	-	-
გადასახდელი პროცენტები	(126 190)	(1 012)	-	(127 202)
ვალდებულებები სულ:	(168 012)	(33 154)	-	(201 167)
ნეტო შედეგი	4 070 069	5 012 891	352	9 083 311
USD (10% ცვლილება)	501 289			
EUR (10% ცვლილება)	407 007			
RUB (10% ცვლილება)	35			

შპს „Skinest Rail Georgia“

განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	31.12.2020			
	EUR	USD	RUB	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	77 679	399 326	1 483	478 488
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	60 136	195 426	-	255 562
გაცემული მოკლევადიანი სესხები და მისაღები პროცენტები	3 966 063	3 229 986	-	7 196 048
გაცემული გრძელვადიანი სესხები	-	-	-	-
მისაღები პროცენტები	-	-	-	-
სხვა მიმდინარე აქტივები	-	461	-	461
სხვა გრძელვადიანი აქტივები	-	-	-	-
აქტივები სულ:	4 103 878	3 825 198	1 483	7 930 559
ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	(492 870)	(350 915)	-	(843 785)
მოკლევადიანი სესხები	(3 267 845)	(6 234)	-	(3 274 079)
გადასახდელი პროცენტები	(92 441)	(43)	-	(92 483)
ვალდებულებები სულ:	(3 853 155)	(357 192)	-	(4 210 348)
ნეტო შედეგი	250 723	3 468 006	1 483	3 720 211
USD (10% ცვლილება)	346 801			
EUR (10% ცვლილება)	25 072			
RUB (10% ცვლილება)	148			

28. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს 24-ის („დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“) მიხედვით, მხარეები ითვლებიან დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. შესაძლო დაკავშირებული მხარეების თითოეული შემთხვევის განხილვისას ყურადღება უნდა მიექცეს არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას, არამედ იმასაც, თუ როგორია მათ შორის ურთიერთობა. დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ განხორციელდეს იმავე პირობებზე და თანხებზე, როგორზეც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

შპს „Skinest Rail Georgia“

განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

განხორციელებული ტრანზაქციები პარტნიორთან

	2021 წელი		2020 წელი		31.12.2021		31.12.2020	
			GEL EUR				GEL EUR	
კრედიტორული დავალიანება	-	-	-	-	33 375	9 525	327 979	81 520
დებიტორული დავალიანება	-	-	-	-	-	-	248 509	61 768
სესხები და გადასახდელი პროცენტები	-	-	-	-	-	-	3 315 196	823 999
მოკლევადიანი სესხები და გადასახდელი პროცენტები	-	-	-	-	127 202	36 302	-	-
შესყიდვები (მარაგები)	22 846	5 990	23 194	6 530	-	-	-	-
შემოსავლები	28 481	7 468	183 827	51 754	-	-	-	-
სხვა შემოსავალი	81 193	21 288	-	-	-	-	-	-
საპროცენტო შემოსავალი	-	-	4 083	1 150	-	-	-	-
საპროცენტო ხარჯები	(104 560)	(27 415)	(55 962)	(15 756)	-	-	-	-
საკურსო სხვაობები	4 535	1 189	(130 228)	(36 664)	-	-	-	-

განხორციელებული ტრანზაქციები ბირთადად მენეჯმენტთან

	2021 წელი		2020 წელი		31.12.2021		31.12.2020	
			GEL EUR				GEL EUR	
ხელფასები და სხვა სარგებელი	(338 575)	(88 772)	(239 357)	(67 388)	-	-	-	-
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	-	-	-	-	-	-	5 254	1 306

ტრანზაქციები სხვა დაკავშირებულ მხარეებთან

	2021 წელი		2020 წელი		31.12.2021		31.12.2020	
			GEL EUR				GEL EUR	
დებიტორული დავალიანება	-	-	-	-	613 804	175 172	5 782	1 437
კრედიტორული დავალიანება	-	-	-	-	18 907	5 396	8 988	2 234
სახელმწიფო ვალდებულებები	-	-	-	-	21	6	-	-
გაცემული სესხები და მისაღები პროცენტები	-	-	-	-	7 831 362	2 234 978	7 349 933	1 826 842
გრძელვადიანი სესხები და გადასახდელი პროცენტები	-	-	-	-	-	-	-	-
მოკლევადიანი სესხები და გადასახდელი პროცენტები	-	-	-	-	-	-	-	-
შესყიდვები (მარაგები)	306 629	80 396	19 197	5 405	-	-	-	-
შემოსავლები	633 800	166 177	8 496	2 392	-	-	-	-
სხვა შემოსავალი	25	6	-	-	-	-	-	-
საპროცენტო შემოსავალი	833 224	218 464	724 436	203 957	-	-	-	-
სხვა ხარჯები	(9 118)	(2 391)	(994)	(280)	-	-	-	-
საპროცენტო ხარჯები	(31 259)	(8 196)	-	-	-	-	-	-
საკურსო სხვაობები	(699 846)	(183 494)	379 459	106 833	-	-	-	-

29. გაუთვალისწინებელი გარემოებები

კანონმდებლობა

საკმაოდ ხშირად ხდება საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობის არაერთგვაროვანი განმარტება და ცვლილება. ხელმძღვანელობის მიერ ამგვარი კანონმდებლობის განმარტებები, რომლებიც გამოიყენება კომპანიის ოპერაციებთან და საქმიანობასთან მიმართებაში, შესაძლებელია ეჭვქვეშ დააყენონ შესაბამისმა რეგიონულმა და სახელმწიფო სამსახურებმა. საქართველოში ბოლო დროს განვითარებული მოვლენები იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოში საგადასახადო ორგანოებს სულ უფრო მკაცრი პოზიცია უჭირავთ კანონმდებლობის ინტერპრეტაციისას და შეფასებებისას და ამის გამო, შესაძლოა ის ოპერაციები და საქმიანობები, რომლებიც წარსულში ეჭვქვეშ არ დამდგარა, სადავო გახდეს მომავალში. ამ სახით, შესაძლოა ადგილი ჰქონდეს მნიშვნელოვან დამატებით გადასახადებს, ჯარიმებსა და საურავებს. არაპრაქტიკულია გაუცხადებელი მოთხოვნების ოდენობის განსაზღვრა, რომელმაც შეიძლება თავი იჩინოს მომავალში, (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შპს „Skinest Rail Georgia“

განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ან ნებისმიერი არახელსაყრელი შედეგის ალბათობის განსაზღვრა. ფისკალური პერიოდები ღია რჩება შესაბამისი ორგანოების მიერ საგადასახადო შემოწმებისთვის სამი კალენდარული წლის განმავლობაში, შემოწმების წლამდე. ზოგ შემთხვევაში შემოწმებამ შეიძლება მოიცვას უფრო ხანგრძლივი პერიოდებიც. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მისებული განმარტება ჯეროვანია და რომ კომპანიის საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო პოზიციებთან დაკავშირებული მონაცემები დარჩება უცვლელად.

სასამართლო დავები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საერთო სასამართლოებში, კომპანიას გააჩნდა 3 სასამართლო დავა, სადაც მოსარჩელე მხარე არის თავად კომპანია:

მოპასუხე - შპს ვაგონტორგ ჯორჯია

მოპასუხე - სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

მოპასუხე - სს საქართველოს რკინიგზა

სასამართლო დავები ძირითადად უკავშირდება დებიტორული დავალიანების მოთხოვნებს.

სხვა გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ამის გამო ახასიათებს ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები. ეს ცვლილებები საკმაოდ ბუნდოვან და ხშირად ურთიერთგამომრიცხავ ხასიათს ატარებენ, რითიც საგადასახადო ორგანოებს საშუალებას აძლევს მოახდინონ ამ ცვლილებების სხვადასხვანაირი ინტერპრეტირება. გადასახადების შემოწმება შესაძლოა სხვადასხვა ორგანოების მიერ იქნას ჩატარებული, რის გამოც კომპანიას სხვადასხვა ხასიათის ჯარიმების, თუ საურავების დაკისრების საფრთხე ექმნება.

ეს გარემოებები ქმნიან ისეთ საგადასახადო რისკს, რომელიც გაცილებით მაღალია საქართველოში ვიდრე სხვა ქვეყნებში. მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ მის მიერ განხორციელებული მიდგომა საგადასახადო საკითხების მიმართ ადეკვატურია ამ მომენტში საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო ინტერპრეტაციების მიმართ, თუმცა არ არის გამორიცხული ის, რომ ეს ინტერპრეტაციები შემდგომში შეიცვალოს და საგადასახადო ორგანოებს სხვა პოზიცია ჰქონდეთ ანალოგიური საკითხების მიმართ.

30. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

კორონავირუსის COVID-19-ის პანდემიის გავლენა

2020 წლის 11 მარტს, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ (WHO) COVID-19 კორონავირუსის პანდემია გამოაცხადა. პირველი შემთხვევა საქართველოში, ოფიციალურად, 2020 წლის 26 თებერვალს დაფიქსირდა. ვირუსის გავრცელების საწინააღმდეგო ზომების ნაწილის სახით, საქართველოს მთავრობამ სხვადასხვა დროს დააწესა სხვადასხვა სახის შეზღუდვები. კომპანიის მიმდინარე ოპერირების, საჯაროდ ხელმსაწვდომი ინფორმაციის საფუძველზე დაყრდნობით კომპანიის ხელმძღვანელობა არ მოელის ეკონომიკურ გარემოზე პანდემიის ზემოქმედების გამო მის მოკლევადიან ფინანსურ მდგომარეობაზე და ოპერირების შედეგებზე მნიშვნელოვან ნეგატიურ ეფექტს, თუმცა არ გამოირიცხავს პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების პერიოდის გაგრძელების, შეზღუდვების მასშტაბის გაფართოების შედეგად მნიშვნელოვანი უარყოფითი შედეგები საშუალო და გრძელვადიან პერიოდისათვის. მსოფლიო პანდემია გავლენას მოახდენს კომპანიის სავალუტო ოპერაციებზე, რადგან დღეის მდგომარეობით სახეზეა ეროვნული ვალუტის (და არა მხოლოდ) მკვეთრი ცვლილებები. კომპანია ოპერატიულად აანალიზებს ამ შესაძლო ნეგატიურ სცენარებს და მზადაა საოპერაციო გეგმების მოდიფიკაციისთვის.

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 25 მარტს. კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს, შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სხვა ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენებს ადგილი არ ჰქონია, რომ მოითხოვდეს განმარტებით შენიშვნებს.